ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1696174

ნომერი: AR1276099

თარიღი : 15.01.2015

გაცემის თარიღი : 22.01.2015

გაცნობის თარიღი : 23.01.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეველეს , N 20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე დონაძე პ/ნ 01024023245
- თბილისი პეკინის გამზ. N 9 ბ. 34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1276099 განცხადებაზე №1672728 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან არ არის გამოსწორებული და ასევე გამოვლინდა ახალი გარემოებაც, კერძოდ იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ:

1. წარმოდგენილი გენგეგმის მიხედვით საპროექტო შლაგბაუმის განთავსება ხდება #01.17.12.003.071 მიწის ნაკვეთზე, რომლის მესაკუთრე არის თვითმმართველი ერთეული, ხოლო "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" მონიშნული საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს თქვენს სს "კრისტალი 1887"-ის საკუთრებას, რაც იწვევს გაუგებრობას. მოიყვენეთ შესაბამისობაში და "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ზუსტად მონიშნეთ საპროექტო ტერიტორია, რისთვისაც სამსახურის მიერ გეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლოთ ღილაკით –რუკის ცვლილება.
2. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს #01.17.12.003.071 მიწის ნაკვეთს, მაშინ წარმოსადგენი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"-ს თანხმობა შლაგბაუმის მოწყობაზე;
3. "ფოტომონტაჟი"-ს ველში ატვირთული გენგეგმა ატვირთეთ "ფაილის მიმაგრება" ველში, ხოლო "ფოტომონტაჟი"-ს ველში ატვირთეთ ფოტომონტაჟი ყველა გაბარიტული ზომის მითითებით, რომელიც ამ ეტაპზე არ გაქვთ ატვირთული;
4.ნომენკლატურა არასწორად არის არჩეული, კერძოდ "დროებითი დანადგარი - კორექტირების" ნაცვლად უნდა აირჩიოთ "დროებითი დანადგარი - ახალი მშენებლობა", რისთვისაც გეძლევათ ნომენკლატურის შეცვლის საშუალება და ისარგებლეთ შესაბამისი ღილაკით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.